№ 149 ივლისი 15, ხუთშაბათი — 1893 — ივლისი 15, ხუთშაბათი № 149

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადების დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის მეღლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## პროგრამმა
### ტფილისის სათავად-აზნაურო მოსამზადებელ კლასებისა.

პირველს განყოფილებაში მიიღებიან უეგზამენოდ (7 და 8 წლისა).

II განყოფილებაში შემომსვლელთათვის (8 და 9 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

შემოკლებულნი მოთხრობანი ძველ და ახალ აღთქმიდან (იხილე „დედა-ენა“ მოთხრობანი საღმრთო სიტორიითგან). ლოცვები: დაწყებითი ლოცვა, სამების ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილს წინ და სადილს შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, ლოცვა მეფისა და მამულისათვის.

2) ქართული ენა.

კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა, ზეპირად ცოდნა იმ ლექსებისა და პასუხის მიგება იმ სასაუბროებზედ, რომელნიც მოქცეულნი არიან „დე-დაენის“ მეასე გვერდამდის.

3) რუსული ენა.

ცოდნა იმ სიტყვებისა და ფრაზებისა რომელნიც მოქცეულნი არიან იაკ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს (Русское слово) ლექსიურ განყოფილებაში.

4) არითმეტიკა.

ყოველ-მხრივ შესწავლა რიცხვებისა 1-დგან 20-დის. ყმაწვილებს უნდა შეეძლოთ: შეერთება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. უნდა იცოდნენ აგრეთვე ხშირად სახმარებელი ზომები.

III განყოფილებაში შემომსვლელთათვის (9 და 10 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

უმთავრესნი მოთხრობანი ძველისა და ახალის აღთქმისა. ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილს წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის, ლოცვები დილისა და საღამოსი (სახელმძღვანელო გ. იოსელიანისა ლოცვანი მისივე).

2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა იმ მოთხრობებისა, რომელნიც მოთავსებულნი არიან „დედა ენაში“. ეს წიგნი სრულიად შესწავლილი უნდა ჰქონდეს ყველა თავის სავარჯიშოებით.

3) რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წერა. თარგმნა სავარჯიშოებისა, რომელიც მოთავსებულია „Русское слово“-ს პირველს ნაწილში. ამავე წიგნის მეორე ნაწილითგან უნდა ჰქონდესთ შესწავლილი არა ნაკლებ 40-ის მოთხრობისა, ისე რომ ყმაწვილს შეეძლოს ქართულად გადათარგმნა ყოველ სიტყვისა და ფრაზისა; ამას გარდა ყმაწვილს უნდა შეეძლოს ხსენებულ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად როგორც მასწავლებლის კითხვების შემწეობით, ისე მისდა დაუხმარებლადაც.

4) არითმეტიკა.

ყოველ მხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დან 100-დის და ხშირად სახმარებელის ზომების ცოდნა. ტაბულა ხამრავლებისა (სახელმძღანელო „კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა.“ რჯაჯანაშვილისაგან შედგენილი).

IV განყოფილებაში შემომსვლელთათვის (10 და 11 წლისა).

1) საღმრთო სჯული.

მოთხრობანი ახლისა და ძველის აღთქმითგან, ლოცვები რუსულად და ქართულად. რუსულად: დაწყებითი ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის. ქართულად: დილის ლოცვა, საღამოს ლოცვა, ათი მცნება, სიმბოლო სარწმუნოებისა (სახელმძღვანელო „საღმრთო ისტორია“, გ. იოსელიანისა).

2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და გარმოცემა წაკითხულის სტატიებისა თავის სიტყვით. დასახელება სიტყვის ნაწილებისა (სახელმძღვანელო „ბუნების კარი“).

3) რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის ახსნა ქართულად და რუსულად; ერთის სიტყვის ან ფრაზის მაგივრად მეორე მზგავსის სიტყვის და ფრაზის ხმარება. წერა კარნახით (სახელმძღვანელოდ იხმარება. „Родное слово“, годъ второй, საიდგანაც უნდა შესწავლილი ჰქონდეს ყველა პატარა მოთხრობანი და რამდენიმე ლექსი ზეპირად წიგნის მესხე გვერდამდის). შესწავლილ სტატიების შინაარსის გადმოცემა რუსულად.

4) არითმეტიკა.

საზეპირო და წერით ანგარიში რიცხვებზედ 1—10,000 (ათი ათასამდის); ოთხი უმთავრესი მოქმედება (შეერთება, გამოკლება, გამრავლება ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, გაყოფა ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, ცოდნა გამრავლების ტაბულასი და ხშირად სახმარებელ ზომებისა. რუსულად: ახსნა საზეპირო ამოცანებისა 1—10,000 (ერთიდგან ათი ათასამდის) (სახელმძღვანელო „Сбрникъ Ариѳметическихъ задачъ“ Евтушевскаго, часть 1).

შენიშვნა: პირველ პროგიმნაზიულ კლასითგან დაწყებული ყველა პროგიმნაზიულ კლასებში მიღებულია საერო განათლების სამინისტროს პროგრამმები. ქართულ ენითგან უნდა იცოდნენ პირველ კლასებში შემოსვლელებმა: 1) გარკვევით კითხვა, წაკითხულის გარდმოცემა თავის სიტყვებით; 2) გრამატიკითგან: მარტივ წინადადების ნაწილები და ეტიმოლოგიითგან სიტყვის ნაწილების გამოცნობა.

---

### ახალის პროექტის გამო

მცირე ხმის უმეტესობით გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო ის სამხედრო კანონ-პროექტი, რომელზედაც ამოდენი მჭევრ-მეტყველება, წერა და მეცადინეობა დასჭირდათ ყველა გერმანიის დასთა.

ამ პროექტის ძალით, გერმანიის ისეც დიდძალს და გამოცდილს არმიას, მოემატება საგრძნობელი სამხედრო ძალა. ეს ძალა, გრაფ კაპრივის აზრით, სრულიად საკმარისია, რომ გერმანიამ მოსვენებით შეჰყუროს ამიერიდამ თავის ორს ძლიერს მეზობელს—რუსეთსა და საფრანგეთს. გერმანიის მთავარ-მინისტრი ამბობს: ჯარის მომატება მხოლოდ იმისთვის არის საჭირო, რომ მეზობელ სახელმწიფოებმა არ განიზრახონ ჩვენი თავსდასხმა და ამოდენა შრომითა და მსხვერპლით შეერთებულ გერმანიის დაგლეჯა და განადგურება.

ამ ნაირი სითრთხილე, რომელსაც იჩენს მმართველი გერმანიის პოლიტიკისა, რასაკვირველია, არ არის დასაწუნარი, მაგრამ, მოგვეცეს ნება, ცოტა ეჭვი ვიქონიოთ იმაზედ, რომ ნამდვილი მიზეზი გერმანიის ჯარის მომატებისა ეს იყოს!

გერმანიის ახალგაზდა იმპერატორი, რომელიც სრულიად განსხვავებული ბუნებისა და ნიჭის კაცია, არაოდეს არ დაკმაყოფილდება იმ მდგომარეობით, რა მდგომარეობასაც გვიხატავს ჩვენ იმისი მთავარ-მინისტრი კაპრივი. ჩვენ ვამბობთ, რომ ვილჰელმ II-სათვის საჭიროა ახალი და ბრწყინვალე დაფნის ფოთლები, რომ შეეძლოს შეამკოს სახელოვანი გვირგვინი გერმანიის იმპერატორისა. ეს დაფნის ფოთლები გაჩნდება მაშინ, როცა ხელ-ახლად გაიმარჯვებს გერმანია საფრანგეთის ჯარზე და დაამარცხებს რუსეთს. ეს აზრი ასულდგმულებს ახალგაზდა მეფეს, და უნდა ვიცოდეთ, რომ არავითარს ღონეს არ დაზოგავს, ოღონდ-კი პრუსიის არმიას მოუპოვოს უპირველესობა. ჯერ-ჯერობით, პრუსიის მხედრობამ დაამარცხა ავსტრია და საფრანგეთი და, რომ სრულიად დაკმაყოფილდეს ახალგაზდა გერმანიის იმპერატორის თავმოყვარეობა, საჭიროა დამარცხება ძლიერის რუსეთის მხედრობისაცა.

მთელი მეცადინეობა და სურვილი გერმანიის სამხედრო დასისა მიმართულია სწორედ ამ უკანასკნელის აზრის მისაღწევად. მაგრამ ეს ადვილი საქმე არ არის, და ერთმან მხოლოდ გულთამხილავმა უწყის, რით დაბოლოვდება ერთხელ ატეხილი ბრძოლა ევროპიელთა ძლიერ სახელმწიფოთა შორის?!. ვინ იტყვის იმას, ვინ განმარტებს და გადასწყვეტს, როგორ ჩაჰქრება ერთხელ გაჩენილი ცეცხლი?

ერთი რამ ითქმის მხოლოდ, სახელდობრ, ისა, რომ ეხლანდელ ომს, რომელშიაც შეებრძოლება რამოდენიმე მილიონი ჯარი ერთმანეთს, სადაც ხმარებული იქმნება მეცნიერება და ხელოვნება ხალხის ამოსაქლეტად და ქვეყნების გასანადგურებლად, მრავალი ისეთი

---

## ფელეტონი

### სტუმარ-მასპინძელი

(შემდეგი *)

VI

სოფლისა გაღმა გორია
დამწვარი, ქვიშიანია.
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი
გულ-ლომი, ჯიშიანია.
ძირს მისდგამს ბექი მდუმარე
ნაღვარი, თიხიანია.
ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთა,
არა სძგერს გული მაგარი,
იმათ სჭამს მიწა უენო,
სასტიკი, გაუმაძღარი;
მასში ეშლება ყველასა
ადამიანის იერი,
ვერ გვიხსნის სიკვდილის ბჭყალით
ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.
ბუნების ცოდვა ესაა,
მუდამ საწყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს
არავინ გადურჩენია.
ყველა მგზავრთათვის ინთქმევა,
როცა იღუპვის გემია!..
მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,
არ დაებერა ნიავსა,
დაბლა არ ჩამოეფინა,
ურიცხვი კაცი და ქალი
ჰპლაზე შემოეფინა.
მოჰყავდათ ზვიადაური
ხელ-შეკონილი გროვასა,
ყველას უხარის მის მოკვლა,
ან ვინ დაიწყებს გლოვასა!
სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან;
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ზევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან.
რამდენი ავ-სული ვიცი,
წარბ-შაუხრელად დადიან;
თავის მტანჯველის შემუსრვა
ან კი ვის არა სწადიან?!.

VII

აი საფლავიც ქისტისა.
ხალხი მოერტყა გარსაო.
მოლა მოჰყვება ლოცვასა,
იხსენებს თავის მკვდარსაო:
„ნუ იტანჯები, დარლაო,
ნუ შეიწუხებ თავსაო,
მოვსდევგით შენი მოძმენი
შენის სამარის კარსაო.
მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
არ გაჰმევთ მტრისა ჯავრსაო“.
— ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა,
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზ-მორეული,
როგორაც ვეფხი—თმასაო.
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულის თქმასაო.
რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლილსა
ქედ-ჩაუანგებულ მთასაო.
აქცევენ ზვიადაურსა
ყელში აბჯენენ ხმალსაო,
„დარლამსაც შაეწირები“,
ყველა დასძახის მასაო.
„ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისა და“,
უპასუხებდა ხალხსაო.
არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეიხრიდა წარბსაო.
გაოცდნენ ქისტიშვილები,
ხალხი დგებოდა ყალყსაო.
ლამის რომ არ შაეწიროს,
ერთი უყურეთ ძაღლსაო *)!
ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
ყელში ურჭობენ ხმალსაო.
„ძაღლ იყოს“, ყელში ამბობდა,
მანამ მოსჭრიდნენ თავსაო!
უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
არ ახამხამებს თვალსაო.
სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის,
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა.
და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ზნდებოდა.
ცრემლებს ჰმალავდა ლამაზი,
ხალხზე უკანა დგებოდა;
მიშველებასა ჰლამოდა,
„ნუ ჰკლავთ“, ეძახის გულიო,
ჰფიქრობდა ბრაზ-მორეული,
ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფთხობინო სულიო.
ნეტავი იმას, ვინაცა
მაგის მკლავზედა წვებოდა,
ვისიცა მკერდი აწ კრული
მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა.
ნეტავი იმას ოდესმე
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა!..
ქისტები გაწყრენ, იტკიცეს,
ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
მის შესაფერი სადილი.
დაკლულმა დაკლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი.
შეურაცხყოფით უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნაღები ფანჯრები,
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენიანთ;
ცოდვაა, ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში დაბრუნდნენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდნენ:
ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდნენ.
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,

---

*) სისხლის აღება, მკვლელობისათვის მოკვლა ყველა მთიელებსა აქვთ წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამ გვარად „შეწირვა“ მაჰმადიან მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ იგი, ვისაც ჰკლავენ საფლავზე, არ შედრკა, მკვდრისათვის „შეწირულად“ არ ჩაითვლება.

ამბები და მდგომარეობა დაჰყვება, რომელიც ძირეულად შესცვლის ეხლანდელ წეს-წყობილებას, ურთიერთ დამოკიდებულებას და ბედს ქვეყანათა და ერთა. დღეს თავისუფალი და ბედნიერი ერი შეიძლება ომის შემდეგ დამონებული და უბედური შეიქმნას, ხოლო დამონებული, უფლება-ახდილი, უბედური ხალხი ეღირსოს სრულს თავისუფლებას, აღორძინებას და ბედნიერებას! ასეთი არის ომის შედეგი ხშირად და ყოველი ერი მზად უნდა იყოს ამ უეცარის და მოსალოდნელის შემთხვევისათვის. ამ ხუთის წლის დამლევამდე ომი უნდა იქმნასო, ამბობს თავადის ბისამრკის შვილი გრაფი ჰერბერტი. და საგულისხმოც არის, ომი დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ მოუხდება, რადგანაც ევროპიელ ერთათვის ყოვლად შეუძლებელია გაუძლონ ამდენს სამხედრო ბეგარას! რაც დღე გადის, ხალხი სულ უფრო და უფრო დრტვინავს სამხედრო ტვირთის გამო, და ერთ დღეს მთავრობანი იძულებულნი იქნებიან, რომ აიშორონ შინაური ამბოხება, გამოუცხადონ ომი ერთმანერთს და ამ გვარად ჩააქრონ ცეცხლი ხალხის აღშფოთებისა.

შესაძლებელია, მალე, ძალიან მალე მოვესწროთ მრავალს დიდებულსა და საკვირველ ცვლილებას ევროპისა და აზიის რუკაზედ. მაგრამ ვისთვის იქნება ეს ცვლილებანი დამღუპველი და ვისთვის აღმადგენელი—ამისი თქმა დღეს არავის არ შეუძლია.

მეველე

---

# ახალი ამბავი

*** „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 3 ივლისიდგან 6 ივლისამდე ხოლერა ყოფილა: ქ. მოსკოვში (ავად გახდა 31, გარდ. 14), ვლადიმირისა, ბესარაბიისა, კიევისა, კურსკისა, სარატოვისა, ტვერისა, ტულასი და ტობოლსკის გუბერნიებში. ხოლერის მზგავსი სენი ავადმყოფობა ყოფილა სამარას გუბერნიაში, უუზანის ოლქში (27 ივნისს ავად გახდა და გარდ. 1) და ქუთაისის გუბერნიაში (ავად გახდა 1.)

*** ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო საზღვარ გარედ გაგზავნოს ინჟენერ-ტეხნოლოგი ბ-ნი გულიშამბაროვი, რათა მან ევროპის დიდ სახელმწიფოებსა და ამერიკაში ადგილობრივ შეისწავლოს, რა მდგომარეობაშია იქ ამ ჟამად ნავთის ვაჭრობა-წარმოება.

*** პეტერბურგში საჰიგიენო გამოფენაზედ სხვათა შორის არის პროექტი ქ. ბაქოს წყალის მილისა. პროექტი შედგენილია ინჟინერის ბ-ნ ალტუხოვის-მიერ.

*** რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკის უმთავრეს კონცესიონერებს განზრახვა აქვთ ამ ბანკში შეიტანონ ფული, რომელიც საჭიროა ამ ბანკის მოვალეთა დასაკმაყოფილებლად, რათა ბანკს ისევ შეეძლოს თავისი მოქმედება განაგრძოს.

*** გაზეთ „მთავრობის მოამბეში“ მოყვანილია ცნობები ხოლერის შესახებ მექქაში: ივნისის ნახევრიდგან მექქიდგან ხმები მოდის ხოლერის შესახებ. ვერას გზით ვერ მოსპეს ხოლერა ამ მაჰმადიანთათვის წმიდა ქალაქში, სადაც ყოველ წლივ აურებელი მლოცველი იკრიბება. პროფესორები პრუი და მრუადელი იწერებიან პარიჟს, რომ მექქაში 8 ივნისიდგან 26 ივნისამდე ხოლერით გარდაიცვალა 2250 კაცი. 26 ივნისს ამავე ქალაქში ხოლერით გარდაიცვალა 500 კაცი, 27 ივნისიდგან 4 ივლისამდე გარდაიცვალა ამავე სენით 3,408 კაცი. ალექსანდრიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მექქასა და ამ ქალაქის მიდამოებში სწორედ რომ საშინლად მძვინვარებს ხოლერა. მთელი ოჯახობა სწყდება თურმე ამ სენით. გარდაცვალებულთა გვამები ქუჩებში ჰყრია და დასაფლავებისთვის თავს არავინ იწუხებს. ყველანი ამბობენ, ხოლერა იმიტომ მძვინვარებს აქ ასე, რომ წელს ძლიერ დიდძალი ხალხი მოდის სალოცავადაო. მარტო ჯეჯში ზღვით სულ ცოტა 100,000 კაცი მოსულა სალოცავად. ხმელეთით მოსულნიც რომ ვიანგარიშოთ, აღმოჩნდება, რომ ამ ჟამად მექქაში 250,000 კაცზედ მეტი მლოცავია შეგროვილი. ქაირში გამართულ კანტორებში სრულიად არ არის ადგილი მექქადგანა და ჯეჯიდგან დაბრუნებულ მლოცველებისთვის.

*** საინგილო (ზაქათალის მაზრა): წელს ზოგიერთი სოფლები ზაქათალის მაზრისა დაისეტყვა. სეტყვამ ამ ადგილებში დააზარალა ვენახები, ყანები და „ბახჩები“ (თუთის პლანტაციები). ნათესები გააფუჭა შემოდგომის გასულს მინდვრის თაგვებმა, მაგრამ მალე უსწრო სუსხიანმა ზამთარმა და ამოსწყვიტა ეს მტერნი ჯეჯილებისა.

საზოგადოდ მთელს მაზრაში პურის მოსავალი საშუალოა; ადგილ-ადგილ-კი ჩინებულიც, აბრეშუმის პარკისა—გვარიანი; ვენახებს კარგი პირი უჩანს, ჩალთუკს გაუჩნდა წვრილი ჭია, რომელიც ძალიან აოხრებს, ასე რომ ბრინჯის მოსავალს ძალიან ნაკლებს მოელიან. ნედლი პარკი, სხვა-და-სხვა ჯიშის კვალობაზედ, ადგილობრივ გაიყიდა 10—20 მან. ფუთი. ყველაზედ მეტ ფასში იყიდებოდა ხოლმე აქ თეთრი პარკი, რომელსაც აქაურები უწოდებენ „იტალიას“. პურის ფასმა ამ ცოტა ხანში 1 მან. 40 კაპეიკიდამ დაიწია 1 მ. 10 კაპ. მოსალოდნელია, რომ ფასმა კიდევ კარგა დაიწიოს.

*** იქიდამვე: ამას წინად ესტუმრა საინგილოს ჩვენი ახალგაზდა მამულის შვილი ბ-ნი ა. ს. ხახანაშვილი. როგორც უკვე გაზეთებში იყო გამოცხადებული, იგი გამოგზავნილია მოსკოვის საიმპერატორო საარხეოლოგიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებისაგან და მინდობილი აქვს გამოკვლევა ზოგიერთ საქართველოს ნაწილებისა და კერძოდ საინგილოსი. სოფელ კახში მოვიდა ბ-ნი ხახანაშვილი 21-ს თიბათვეს. როგორც ყველგან, აქაც დიდის თანაგრძნობით დაუხვდნენ კახის ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელნი. ს. კახიდან მოგზაურობდა და სხვა-და-სხვა შესანიშნავ ძველ ნაშთების დასათვალიერებლად და ყველგან თან ახლდნენ ზემოხსენებულნი ინტელიგენტნი, რომელთა რიცხვში იყვნენ სასულიერონიც, მამასწავლებელნიც, მოსწავლენიც და ადგილობრივი პატივცემული მოხუცნიც. საქმის გათავების შემდეგ, იქვე მწვანეზედ, დიდრონ ხეების ჩრდილს ქვეშ გაიშლებოდა ხოლმე ქართული მხიარული სუფრა, რომელზედაც წარმოითქმებოდა სხვა-და-სხვა აზრი ამ ადგილების წარსულზე, აწმყოზე და, რასაკვირველია, ზედ მოჰყვებოდა ხოლმე სურვილი, იმედები მომავალზედ. სიტყვებს და მშობლიურს სიმღერებს დასასრული არა ჰქონდა. გზაშიაც სასარგებლო საუბარს თან სდევდა დრო-გამოშვებით ქართული ხმები. ბ-ნმა ხახანაშვილმა დაჰყო ს. კახში ერთი კვირა. გაშინჯა შემდეგი არხეოლოგიური ნაშთები: კურმუხის მონასტერი, სამების ეკკლესია, ლეკეთის, ყუმის და ბახტალოს ტაძრის ნანგრევები. საინგილოს სოფელთა შორის დაათვალიერა: კახი, თასმალო და ალიაბადი. პირველში ქართველები მთლად ქრისტიანები არიან, მეორეში ახლად ვრცელდება ქრისტიანობა და მესამე-კი სრულებით მაჰმადიან ქართველებით არის დასახლებული. ს. ალიაბადიდან ჩვენმა სტუმარმა გაიარა მუღანლოზედ და მივიდა ზაქათალას. ზაქათალიდან გაემგზავრა დასათვალიერებლად ბელაქნის, ლაგოდეხის და კაბლის მიდამოებისა.

*** ახალციხე: ამ თვეში გაიმართება აქ „ლოტარია—ალეგრი“ აქაურს საქველ-მოქმედო საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ. როგორც გავიგეთ, ნება-რთვა უკვე მიუღიათ და გაიმართება ამ თვის დამლევამდის. შეწირულობას იღებს საზოგადოების მდივანი.

*** იქიდამვე: აბასთუმანსა და ურაველს დიდ-ძალი ხალხი წავიდა და მიდის კიდევ. ქ. ახალციხეში ძლიერ არის გავრცელებული ყივანახველა. თითქმის ყველას ახველებს. ყმაწვილებს, რასაკვირველია, უფრო დაჰრია ხალი ამ მოარულმა.

*** ზესტაფონი: 11 ივლისს ქვიათურის გზაზე კინაღამ დიდი უბედურება არ დატრიალდა: მატარებელი ისე ჩქარა თურმე წამოიყვანა მემაშინემ, რომ ვაგონები ერთმანეთს დაეჯახა და ოთხი ვაგონი სულ დაიმსხვრა. მატარებელში იყო გზის მკეთელი ინჟენერი სიმბერგი თავის ნაცნობ-მეგობრებით, შორაპნის მაზრის მკურნალის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ჯინორიძე, ფერშალი და რამდენიმე მუშა კაცი. დიდი შიში გამოიარეს ყველამ: თითქმის ყველანი დაშავდნენ ცოტად თუ ბევრად. ყველაზე ძლიერ დაშავდა ახალგაზდა მკურნალი ბ-ნი ჯინორიძე. პირველი შემწეობა აღმოუჩინეს შორაპანსა და ზესტაფონში და მერე დაშავებული ქუთაისს გაჰგზავნეს სამკურნალოში. ამბობენ, რომ დაშავებუს სიკვდილის ფიქრი არა აქვს და მორჩებაო.

*** სოფ. ვაქირი (სიღნაღის მაზრა): აქაც იჩინეს თავი ღამის რაინდებმა. აქ, როგორც ყველგან ქიზიყში, ზაფხულობით ყველა ოჯახი იყოფა ორ ნაწილად: ერთი ნაწილი, მამა-კაცი თავის სახლობით და ვაჟიშვილებით, მიდის სამუშაოდ კალოზედ და მეორე ნაწილი, პატარძლები, ქალიშვილები და დედაბერნი, რჩებიან სახლში. აი ამ უკანასკნელთ მიაქციეს მთელი თავისი ყურადღება ღამის რაინდებმა და ჯერ-ჯერობით მარტო იმით კმაყოფილდებიან, რომ ღამით შეიპარებიან უკაცურ სახლში და, რაც უნდათ, იმას სჩადიან: ზოგს კაბას აცლიან, ზოგს იუბკას და ზოგს რასა. ეს ვაჟბატონები თურმე ამით არ აპირობენ თავიანთ რაინდობის გათავებას და ბევრს სხვასაც უპირობენ ამ ნაირსავე არა კაცურ ოინის ჩადენას. ამისთანა შემთხვევა რამდენიმე მოხდა აქ ამ ცოტა ხანში და პატრონი-კი არავინა სჩანს. ნუთუ ასე თავ-დაუჭერავად უნდა ინავარდონ ვიღაცა ბიჭ-ბუჭებმა და მათი ამლაგმელი-კი ვერავინ უნდა გამოჩნდეს!? დღემდის გარედ ნიავზედ სტკბებოდნენ ქალები ტკბილის ძილით და ამას შემდეგ-კი იძულებულნი შეიქმნენ დაკეტილსა და ჰაერ-დახშულ ოთახში ირთვან სული და ირთმევენ კიდეც.

---

ყველა ალლახსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვეფხებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.
მაგრამ მტერს მტრულად მოექე,
თვითონ უფალმა ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანაო.
წავიდნენ, ზვიადაური
ზეზე გაწირეს ტიალად,
თუნდა ძაღლებმა ათრიონ,
ფრინველთა ჯიჯგნონ ზიარად;
არ შაეწირა, ეგდოსო,
ეგეც ეყოფა ზიანად.
ამას იძახდნენ ქისტები
თავ მოწონებით, ხმიანად.
ამ ხმასვე იმეორებდნენ,
ბნელი ხევები მთიანად.
ჩამოდგა საღამოს ჟამი,
მთიდან მზის სხივი ჩამოხდა,
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს სული ამოხდა.
დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი
აღარ ელავდა ქვიშაო,
აღარსადა სჩანს, გამქრალა
თეთრი თმა შავის მთისაო.
ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
სახე იმ სალის კლდისაო,
რომ მუდამ მგლოვიარეა,
ცრემლი ანკარა სდისაო.
სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას—ტირილი დისაო,
ტყესა—ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს—ყმუილი მგლისაო.
ვაჟკაცსა,—ომში სიკვდილი,
ხელში ნატეხი ხმლისაო.
ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგვნა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო.
ცრემლი ნისლების ჯარისა,
ნაბრძანებია ღვთისაო.
და წყაროს პირზე დიაცი
ტურფა, ლამაზი ქისტისა
შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,
დრო და დრო გული მისდისა.
ბევრი იტირა ჩუმადა,
თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა.
ზვიადაურის სიკვდილი
თვალებში ელანდებოდა.
სტიროდა, მაგრამ ტირილი,
არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით ღმერთი აშინებს;
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას ჰშვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდან არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრადა;
იმან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კასრადა.
სიბნელეს უცდის, მივიდეს,
ღამით იტიროს მკვდარიო,
იმას აღარა ჰფიქრობდა,
ჯოყოლა როგორ არიო.
ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის,
რას სჩადის ქვაზე მცდარიო?!.
იქმნება ჰკლავენ ჯოყოლას,
სახლსაც შაუხსნეს კარიო!
წამოდგა, იხედებოდა,
როგორც დამფთხალი ნადირი,
ხედნებ-ხედნებით ამოვლო
ხევის კლდიანი ნაპირი;
წყვდიადში საზარლად ისმის
წყალთ ანაძრახი საყვირი.
ამოვლო კრძალვით საფლავთან,
მკვდარსა მუხლ-მოყრით დაეყრდნო,
ქვითინებს გულ-ამოსკვნითა,
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო,
აიხსნა დანა, მიჰმართა
ზვიადაურსა იმითა,
აჰქრა ნიშნად, სახსოვრად
სამი ბალანი პირითა,
ჩიქილის ტოტში შეხვია
ბროლის თითებით თლილითა...
ეს რა ხმა ესმის?—დგანდგარი,
ყურებს გაუდის ჟივილი,—
საფლავებიდამ მოესმის
მკვდრების წყრომა და ჩივილი;
თითქოს ბალღებიც ატირდენ
გაუდისთ მწარედ წივილი.
საერო წყრომის ხმა ისმის,
საერთო გულის ტკივილი.
„რას შვრება უნამუსოვო“,
გამწარებულნი ჩიოდენ;
„მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“
სამარით შემოჰკივოდნენ,
აჩქარებული ღრუბლები
ცის პირზე გადმოცვივოდენ.
გაიქცა, მირბის, იხედავს
მკვდარნი მისდევენ სწორია.
„შინით სად გაგვეხიზვეწები,
იქით თუ გაგვეშორდიაო?!“
ხმა ისმის დანადევნე ბი,
მასვე იძახის გორია,
გარშემო დაყუდებული
განა ერთი და ორია.
„უნამუსოვო“! მისძახდნენ
ტან-დაწკეპილნი დეკანი,
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი
იმ არე-მარეს მდებარნი.
აგერ, საფლავით ამოდგა
მისი მკვდარი ძმა ებარი,
თავის ტოლებში უსწორო,
ქისტეთს განთქმული მხედარი
თან მიჰკიოდა თავის დას,
სიტყვა პირს მოსდის მქეხარი:
„ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ,
რისხვა რად დამეც მედგარი,
მეორე საფლავში ჩამდევ
ერთს სამარეში მდებარი.
მაგით მიმტკიცებ დობასა,
შენი ქალობა ეგ არი“?!
ბილიკზე მოსუნსულებდა
სასაფლაოსკე მყეფარი.

VIII

— სად მიხვალ, სადა, წყეულო,
საითკე მიეჩქარები?!
ვინ გაჭმევს კაის ყმის ლეშსა,
ძაღლო, დაგიდგა თვალები!
შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
ზვიადაურის ძვალები!
სთქვა ეს აღაზამ და ქვებსა

ამ ვაჟბატონებმა ამით დაიწყეს თავისი რაინდობა და, თუ დროზედ პატრონი არ გამოუჩნდა აქაურ ხალხს, მომეტებულად-კი ქალებს, შემდეგში უფრო მსხვილ-მსხვილ საქმეებს შეუდგებიან.

⁂ ხაშური: 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მუშების ზედამხედველ ცქვატინაძესთან დროს ატარებდა რამდენიმე კაცი. ამ დროს კონდუქტორმა ვარლამ ქობულიძემ ხანჯლით დასჭრა მკლავში ცქვატინაძე და კონდუქტორი სოლომან თევზაძეც თავში. ვარლამ ქობულიძე რკინის გზის ჟანდარმმა შეიპყრო; დაშავებულები ხაშურის რკინის გზის სამკურნალოში გაგზავნეს.

⁂ ადაბაშლი: 12 ივლისს მემაშინეს თანაშემწე სიმონ ჩეკოვს, როდესაც ორთქლ მავალსა სწმენდამდა, დაუცურდა ფეხი, გადმოვარდა ‍და იმ დროს მომავალ მატარებლის № 32 ქვეშ ჩავარდა. საცოდავი ძრიელ არის დაშავებული, ასე რომ მორჩენის იმედი არა ჰქვთ.

⁂ სოფ. ბაკურცახე (სიღ. მაზ.), 10-ს ივლისს: წლევანდელს მოსავალს ამ ივლისის თთვემ ჩვენში ძლიერ ხელი შეუწყო და ძრიელ კარგი ამინდები დაიჭირა; თავ-თავის დროზედ ყველა ზომიერია, სიცხეცა და ჟუჟუნა წვიმაც; ვისაც-კი რაიმე ჰქონდა დათესილი ყველა გახარებული და კმაყოფილია წლევანდელის მოსავლისა. ეხლა ჩვენში გახურებული კალოობა-ლეწვაა, ათეულზედ თითო კოდი პური დგება და ასეთი მოსავალი ხომ დიდი ღვთის წყალობაა. ვისაც-კი წელს ერთი-ორი დღის ნახნავ-ნათესის მეტი არა ჰქონდა, ეხლა ნანობს, ნეტავი პატარა მეტი ნათესი მქონოდაო. გარდა პურისა და ქერისა, ფეტვებსა და სიმინდებსაც კარგი პირი უჩანთ. რაც შეეხება ვენახებს წელს საზოგადოდ ყველგან კარგად ასხიათ. ყურძენი თუ შეჰრჩა და სეტყვამ აღარ დააზარალა, სწორედ რომ კარგის მოსავლის იმედია. ასეთმა მოსავლის პირმა, ცოტა არ არის ჩვენის ხალხის გულს სიხარულის ბეჭედი დაასო; დიდი და პატარა გახარებულია, რომ უყურებს მოსავლიან წელიწადს. მართალია, ჩვენში ბევრნი არიან ისე ვალში დამრჩვალნი, რომ, რაც უნდა ბევრი მოსავალი მოუვიდეთ, მაინც პატრონს არა დარჩება-რა, სულ მოვალე წაართმევთ, მაგრამ, რას იზამს ჩვენი საწყალი ხალხი, ამასაც შეჩვეული, ოღონდ ქვეყანას ბევრი ჰქონდეს და თუნდა მე არც-კიო. რაც შარშანდელმა წელმა მოუსავლობით დაგვაკლო, ღმერთმა ბრძანოს, წელს შეგვევსოს ყველას. ჩვენმა ხალხმა დიდი გაჭირვება აიტანა და სძლია თავის მოთმინებით და დღევანდლამდის მოაღწია.

დღეს ჩვენს სოფელში ბევრი ლაპარაკია რკინის გზის გამოყვანის შესახებ, ამას წინად იყო ჩვენში გზათა გამომკვლეველთა ინჟინერების კომისია და, როგორც მათ დაათვალიერეს, ნიშნებიც ჩააყრევინეს ალაგ-ალაგ. აქედგან სჩანს, რომ სოფ. ჩალუბნიდგან გადმოივლის ჩვენ სოფელ ბაკურციხის ზემოდ უბანზედ და იქიდგან სოფელ კოლაკისაკენ გადივლის. ჩვენი სოფელი ორ უმთავრეს უბნად არის გაყოფილი და, როგორც ეტყობა, ქვემო უბანს ასცდება გზა $1^1/_2$ ვერსზე. ამ ვერსტ-ნახევარის მანძილის სიშორეს ვინ იჩივლებს, ოღონდაც დროზედ ვეღირსოთ მის გაკეთებს.

ჩვენს სოფელში ერთმა პატივცემულმა პირმა თავისის საკუთარის ხარჯით გაგვიხსნა აფთიაქი და ამითი დიდათ დაგვავალა ყველა მცხოვრები. დღეს ყველა ახლო-მახლო სოფლელებს მიეცათ საშვალება, რომ გაჭირვებაში დროზედ იყიდონ წამალი და ისე სიშორეზე იღარ დაღონდნენ, როგორც აქამდის იყო. მაგრამ აფთიაქი უექიმოდ, ხომ მოგეხსენებათ, იმასა ჰგავს, როგორც იარაღი უხელოსნოდ. ჩვენ რომ ეხლა ერთი ექიმიცა გვყვანდეს ახლო-მახლო სოფლად, მაშინ იქნებოდა მართლაც და კარგი, თორემ ეხლა აბა უექიმოდ ვინ რა წამალს იყიდის; იმედი გვაქვს, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ და ერთს ექიმსაც დაგვინიშნავენ, ვისგანაც ჯერ არს; ან თვით ჩვენი საზოგადოება იყოლიებს თავიანთის ხარჯით, ეს უფრო ადვილი მოსახერხებელია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. ბათუმი**, 11 ივლისი. იქნება ინებოთ და ბათუმის ამბავი იუწყოთ? სიამოვნებით მოგახსენებთ. ბათუმი დღეს ქუთაისს აღარ ჩამორჩება სიცოცხლითა და მოძრაობით. იქ თუ კენჭობანა არის, აქ კიდევ კომიტეტობანაა გაცხარებული. მერე რამდენი კომიტეტი, თუ იცით?! კომიტეტი ქართველ საეკკლესიო მგალობელთა გუნდის შესადგენად, კომიტეტი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, ბათუმის სკოლის აღშენებისა, კომიტეტი ქართულის ტაძრის აგებისა და კიდევ რა ვიცი, რამდენი. ასე რომ, რაც ქართველობაა ბათუმში, ყველანი კომიტეტის წევრნი არიან და, რა გასაკვირველია, რომ დაფაცურდნენ. თუ დარჩა ვინმე კომიტეტ გარეშე, იხვეწება, მე რა დავაშავე ქვეყნიერობის წინაშე, რეიზა მომჭერით თავი, რატომ „კომიტეტათ“ მეც არ დამადგინეთო.

რადგანაც ერთ ამ კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ, სახელდობრ, ქართულ საეკკლესიო მგალობელთა გუნდის მოწყობის გამო, უკვე გვქონდა ლაპარაკი, ეხლა ვილაპარაკოთ მეორის შესახებ. მოგეხსენებათ, აქ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ კაი ხნიდგან აქვს სკოლა. ივნისში ამ სკოლაში ეგზამენები იყო, რომელსაც დაესწრო ბ-ნი ნ. ზ. ცხვედაძე. ყმაწვილები ვერ იყვნენ შესაფერად მომზადებულნი, რის მიზეზი საცოდავ ხოლერას და მასწავლებლის ავადმყოფობას დასდვეს. გამოცდა რომ გათავდა, ბ-ნ ც—ძის თხოვნით შეიკრიბნენ 25 ქართველამდე. შემთხვევით დაესწრო იქ ბ-ნი ნ. ბ. ღოღობერიძეც.

ბ-ნმა ც—ძემ სთხოვა ბათუმის ქართველობას, შიებაძნა კავკავის ქართველობისათვის და როგორმე აეგო სკოლისთვის შენობა.

ბ-ნმა ც—ძემ სთხოვა საზოგადოებას, კრება მოეხდინათ და აერჩიათ კომიტეტი, რომ ეს საშვილიშვილო საქმე დააგვირგვინოსო. საზოგადოების მოწვევა მიანდეს ბ-ნს ი. მესხს. შემდეგ ცხვედაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ ეს სკოლა როგორ დაუახლოვდეს ბ-ნ ბეთანოვის სამაგალითო ბაღს „როკვეის“. კარგი იქნებოდაო, ბძანა ბ-ნმა ც—ძემ, როცა აქ ასრულებენ კურსს, იქ მიდიოდნენ მებაღეობის შესასწავლად ორის წლით მაინცაო. ბ-ნმა ბეთანოვმა სურვილი განაცხადა, 6 კაცს უფასოდ შევასწავლი მებაღობას და ბინასაც დაუთმობო. მომავალ კომიტეტსვე მიენდო მასწავლებელ მოლის შესახებ გადაეწყვიტა, იქნება საჭირო იგი თუ არა.

შემდეგ ც—ძემ და მასთან ერთად ყველამ დაათვალიერეს სასკოლო ადგილი, ქალაქის მიერ ვადით მოცემული, რომელზედაც ორის წლის შემდეგ ნება არ გვექნება სახლის აშენებისა, თუ მანამდე ვერ ავაშენეთ. ჩვენთან ერთად აგრეთვე ადგილი მიუღიათ სომხებს და იმათ უკვე ააგეს სასკოლო შენობა. სასკოლო ადგილი დასამხარი ადგილია, მხოლოდ ჭაობიანი. საზოგადოებამ გარდასწყვიტა, კომიტეტს პირველად ადგილის ამოშრობაზედ ეზრუნა და შემწეობა ეთხოვნა ამისათვის „წ. კ.“ საზოგადოებისაგან.

ბ-ნ მესხის მიერ მოწვეული პირველი კრება ამ საგნის შესახებ არ შესდგა. ხოლო მეორე კრებას დაესწრო 80 კაცამდე, რომელთაც აირჩიეს საკომიტეტო კაცები: გრ. ვოლსკი, ბეთანოვი, ექიმი გრ. ელიავა, ივ. მესხი და ექ. ბერძენიშვილი.

პირველ კრებაზედ წევრთ გაინაწილეს შრომა. თავმჯდომარეობა ხვდა ბეთანოვს, ხაზინადრობა გ. ვოლსკის, საქმეთა მწარმობლობა—ბ-ნ მესხს, ხოლო ფულის შეგროვება—ექ. ბერძენიშვილს.

მეორე კრებაზედ მოიწვიეს ბ-ნი ნ. ღოღობერიძე, პეტრე უმიკაშვილი და ჯაიანი. ექ. ბერძენიშვილმა ითხოვა, დამეხმაროს ფულის შეკრებაში ბ-ნი ელიავაო და, როცა მას დრო არ ექნება, ბ ნი საბაევიო, რაზედაც თანხმა გაუხდნენ ესენი. ბ-ნმა ჯაიანმა შესწირა შენობისათვის 2 საჟენი ქვა და ფულად შემწეობა აღმოუჩინეს ამ საქმეს: ნ. ღოღობერიძემ 300 მ., მ. ს. ბეთანოვმა 200 მ., ექ. ს. ბერძენიშვილმა 150 მ., ლ. გ. ჯაიანმა 100 მ., პეტრე უმიკაშვილი 50 მ., გ. მონოფოვმა 10 მან. და თვიურად, ვიდრე შენობა დასრულდებოდეს, ექიმებმა ვოლსკიმ და ელიავამ ხუთ-ხუთი მანეთი, ბ-ნმა მხეიძემ 3 მ., ი. მესხმა 2., დ. კლდიაშვილმა 1 მან.

10 ივლისს დავთრით დადიოდნენ ფულის შესაგროვებლად ქ-ნი ელიავასი, ბ-ნი ბერძენიშვილი და საბაევი და ai ერთის დღის განმავლობაში რამდენი შეაგროვეს:

ნ. ხაბაევი 200 მ., ი. კ. ლომინაძე 100 მ., ვ. ალ. ფარამუზოვი 50 მან., მიხ. თუმანოვი 50 მ., ი. ფურთოევი 40 მ., ბ. საბაევი 30 მ., ი. გალუსტოვი 20 მ., ბარის შექეროვი 25 მ., ი. კახიანი 20 მ., კ. ქილაფთარი 15 მ., ილ. გეგენავა 15 მ., თ. თოფურია 15 მ.

თითო თუმანი შემოსწირეს შემდეგთ: ვ. ბებია, მ. ხუჩუა, ი. ასომაძე, დ. გაბუნია, უცნობი, დ. ხუნცარია, ხ. საბაშვილი, ი. ცეცხლაძე, ძმ. ბოიანჯიაცი, ნ. ანჯაფარიძე, გ. ჩიტავა. ომერ ალამ 8 მან.

5 მანეთი შემდეგთ: დ. სოლოროვი, კ. კაჭარავა, ძმები სიმონოვები, ს. ა. გურგენიძე. ძმ. გოზალოვები, გ. ხუნცარია, ხ. დანიელოვი, ვლ. სალუქვაძე, ე. შახნაზაროვი, ი. ხარაბაძე. ი. გოგუაძე.

3 მანეთი: კაროპულო, ს. ქ. ჯაყელი, ნალბანდოვი, გიორგაძე, კირ. ჯორბენაძე, ს. ბეგჟანოვი, ჩიქობავა, გრ. ბალოევი, ხუნცარია, ლ. დავითაია, ან. მუჯირიდა ბილიხოძე, ი. სვანიძე. პ. ზაქარაძე 2 მ., იანკო 1 მ. სულ ნაღდ ფულად 1600 მან. მეტი, გარდა ორის სავანის ქვისა და იმ ფულისა, რომელიც თთვე და თთვე იკისრეს შემოიტანონ რამდენმამე.

იმედია, ბათუმის დანარჩენი საზოგადოებაც მიჰბაძავს ამ პატივ-ცემულთ შემომწირველთ და თავის წვლილს არ დაიშურებს. როგორც გვარებზედ შეატყობთ, აქ ეროვნობის განურჩევლად ყველა შემწეობას იძლევა: სომეხი, სპარსი, ბერძენი...

---

ესროდა ხშირა ხშირადა.
მირბის და მისდევს შმაგადა
კლდიანის ხევის პირადა.
ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
მას ბანს აძლევდნენ მთანიცა,
სამდურავს ეუბნებიან
ალაზას გიშრის თმანიცა.
მოუახლოვდა თავის სახლს,
სინათლე მოსჩანს იქითა;
უნდა იძახოს, „მიშველეთ“,
ხმა მიაწვდინოს შიგითა.
მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
ოფლი წყლად მოსდის შუბლზედა.
მივიდა სულ-შეხუთული
და გადაიქცა ზღუბლზედა.
კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
მუხლი გადეგდო მუხლზედა;
„ვაჰმეო“ ეს-კი იძახა,
სიტყვა გაუშრა ენაზე.
ქმარმა მოჰხვია ცოლის ხელი
და მიითრია კერაზე.
—რა დაგემართა, დიაცო,
ჩაეკითხება მშფოთარე,
სხვა სადარდელი მაკლია,
ახლა შენ მექმნა მოზარე.
რა დაგემართა, რა არი
მითხარ, გახსენი ბაგეო?!
ხომ არვინ მოიწადინა
გადაეგორე მკლავზეო,
მითხარ, არ გაჭმევ იმის ჯავრს,
განანებ ემავ წამზეო.
ჩემის ნამუსის შემბღალავს
მალე მოვიყვან ჭკვაზეო,
როგორც ვანანე მუსასა
მიხდომა სხვისა კარზეო.
პასუხს ელოდა ცოლისგან,
დასჩერებოდა თავზეო,
და თანაც ხანჯარს ჰბღუჯავდა,
ხელი ეკიდა ტარზეო.
ქალი ვერაფერს ამბობდა,
გაჰმტკნარებოდა სახეო.
თავს დასტრიალებს ჯოყოლა,
ელის, რას ეტყვის ცოლია;
შუაღამის დროს ალაზამ
თან-თან მოიცა გონია.
უთხრა ჯოყოლას:—რას ამბობ,
თავი რად დაიღონია?
რად მოიგონებ იმასა,
რაიც არ მოსაგონია.
სულ ტყუვილია.. კაცისა
არსად მინახავს ჭაჭანი,
ვინ გამიბედავს მაგასა,
რად მინდა ლეჩაქ-კაბანი!?
სასაფლაოდამ დავბრუნდი,
შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
ცხენის მაგივრად ბედ-კრული
შიგ გევერიე დევებში.
დამიხვდა შავ-ნაბდიანი
უზარ-მაზარის ტანისა;
ჯერაც თვალებში მიელავს
სიმყრალე იმის კანისა;
დიდ-ყურა, კბილებ-ლაჭუნა,
უმსგავსო, ფერად შავისა.
ხელები გამომიწოდა,
დიდი ხელები თავისა,
მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
მოშავფრო ქუდი ტყავისა;
თან მითხრა, ჩემთან წამოდი,
ჩემთან იცხოვრე, ქალაო.
ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
არაფერს დაგიმალაო.
მე გამოვიქეც, შევშინდი,
დევიც მომდევდა ღრიალით;
მთელი ქვეყანა იძვროდა
იმის ფეხებ ქვეშ გრიალით;
მზარავდა ეს ხმაც, მთა-ბარიც;
წალმა-უკუღმა ტრიალით,
ძლივს მოვაღწიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით.
ჯოყოლა ეტყვის: დევს გარდა
სხვა რამ საქმეა კიდევა,
ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი,
ჩემი ფიქრები ირევა.
ნამტირალევი რადა ხარ,
ღაწვებზე ცრემლი გდენია,
ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!
სადარდო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულს გადაგფრენია.
ჩემს თვალებს ვერ დაემალვის
იმ გრძნობის ნაკვალევია;
არ შაიძლება არ დაჩნდეს
ნასვამი, დანალევია!...
— რა დაგიმალო, ჯოყოლავ,
ან რად შემრისხავ თქმისადა,—
ეტყოდა ცოლი და ნაზი
თრთოლა მიეცა ხმისადა—
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა.
ძლიერ შემბრალდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმეს შეჰბრალებოდა!
მაგრამ, როს ჰკლავდენ ხანჯრითა,
ოდნავაც არა ჰკრთებოდა.
იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რავქნაო!
—მაგისთვის როგორ შეგრისხავ
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
იტირე?!.. მადლი გიქნია.
მე რა გამგე ვარ მაგისა.
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

IX

მეორე დილას ალაზამ
ძროხა გარეკა მთისაკე,
ჩამოდიოდნენ ფრინვლები,
იზიდებოდნენ მკვდრისაკე.
ალაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს კლდისაკე;
იქიდამ აფთხობს ყორნებსა,
სვავთა მხარ-მოფარფაშეთა,
ორბებსა გაუმაძღრებსა,
მკვდრის ლეშზედ მოყაშყაშეთა,
ხელს ამუშავებს და ჰმალავს
თვალებს, მზებრ მოკაშკაშეთა.
კლდიდამ გადისვრის კენჭებსა
და თან წინდას ქსოვს ვითომა,
ოსტატობს, ხალხმა ვერ შესძლოს
იმის ფიქრების მიხდომა.

ვაჟა-ფშაველა

(დასასრული იქნება)

ძენი და სხვა, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსნი არიან.

აპ—ნ ქა—ლი.

## წვრილი ამბავი

ვიტერბი (იტალიაშია) სწორედ რაღ ბუდე ყოფილა ავაზაკებისა. 1820 წელს პაპმა ლეო XII-მ მიიხმო ჟანდარმთა უფროსი და უბრძანა, ყოველი ღონე იღონე ვიტერბში ავაზაკების მოსასპობლადაო. მართალია, პოლიციის ცდამ შესამჩნევად შეამცირა რიცხვი ავაზაკებისა, მაგრამ დრო-გამოშვებით მაინც თავს იჩენდნენ ხოლმე ვიტერბში ხან ფრადიავოლო, ხან რინალდ დორინალ-დინი და სხ. ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში-კი სახელი გაითქვეს და ქვეყანა აალაპარაკეს ბიძა—ძმისწულთ ტიბურციმ და ფიორავანტიმ. ეს ოც-და-ათი წელიწადია, რაც ისინი თავისუფლად დანავარდობენ ვიტერბის პროვინციებში და უზრუნველად, თავ-აუტკივებლივ ხარკსა ჰკრეფენ მცხოვრებთაგან. მათ თავხედობას საზღვარი აღარა აქვს. წარმოიდგინეთ, ეს ავაზაკები უშიშრად ხელ-წერილს აძლევენ ყველას, ვინც-კი 900 ფრანკს გადიხდის წელიწადში, შენი სიცოცხლე უზრუნველ-ყოფილიაო. ვიტერბში ბევრ მებატონის შესავალ-გასავლის დავთარში ამოიკითხავთ „ნიხრი ავაზაკობისა—900 ფრანკი“. ზოგი თურმე 400 ლირს იხდიდა წელიწადში და ვაი იმისი ბრალი, ვინც ურჩობას გაბედავდა! ჯერ მცირე შენიშვნას მიიღებდა ავაზაკთაგან, შემდეგ უცბად გაჰქრებოდა მინდვრიდგან მისი ცხვრის ფარა, აპრიალდებოდა დადუმულ-დამზადებული თივა და ბოლოს თუ ესეც არ გასჭრიდა, სადმე მიყრუებულ ადგილიდგან იგრიალებდა თოფი და სიცოცხლეს მოუსპობდა ურჩს მებატონეს. პოლიციამ ვერა გააწყო-რა მათ წინააღმდეგ. ყოველი საცადელი მათის შეპყრობა-შებოჭვისა ამაოდ რჩებოდა და ავაზაკები-კი თავისუფლად დაყიალობდნენ „თავის სამეფოში“. მას შემდეგ, რაც ტიბურციმ და ფიორავანტიმ ეს ხარკი გააწერეს ვიტერბის მცხოვრებთ, კაცის მკვლელობა შემცირდა, თითქმის მოისპო, რადგანაც წინად თავზარ-დაცემული ხალხი ხმაამოუღებლივ იხდიდა ხარკს და დიდის მოწიწებითაც ექცეოდა თავის მძარცვავებს. ეს ხარკი ტიბურცის აზრით, მეტად სამართლიანი და კანონიერიც იყო: თუ კი სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოებას შეუძლიან ხარკი ან გარდაწყვეტილი ფასი გადაახდევინოს, მითომ მე რაღა ვარ, მეც ხომ სიცოცხლის დაზღვევის უზრუნველ ყოფის ხელ-წერილს ვაძლევ მებატონეებსაო. მე მცხოვრებთა კეთილ-მყოფელი ვარ და უფრო ვპატრონობ და ვყარაულობ ყველას საკუთრებას, ვიდრე პოლიცია-ჟანდარმებიო, იტყოდა ხოლმე ტიბურცი.

ტიბურცი, ამ მოსაზრებით აღჭურვილი, მოურიდებლივ გამოდიოდა საზოგადოებაში. ხშირად თავის „ქვეშევრდომთა“ შორის უქეიფნია და ქუდი ჭერში უგრავს, და ეს „ქვეშევრდომნიც“ ისე მოწიწებით ექცეოდნენ, თითქოს ტიბურცი ავაზაკი და მათი მძარცვავი-კი არა, მათი მეფეა მირონ-ცხებული.

ტიბურცი რომშიაც იყო და თეატრ-ბალებში მოუკლებლად დაიარებოდა. მისი ზოგიერთი ნაცნობები (რასაკვირველია, „ქვეშევრდომნი“) მოწიწებით სალამს აძლევდნენ. ტიბურციმ არც პარიჟის გამოფენა დასტოვა უყურადღებოდ და თავის ამაღით ესტუმრა. დიაღ, თუმცა ტიბურცი ასეთი განთქმული ავაზაკი და თავს არ იმალავს, მაგრამ იტალიის პოლიციას მაინც ვერაფერი გაუწყვია მის წინააღმდეგ და იგი (ტიბურცი) დღესაცკი დანავარდობს თავის „სამფლობელოში“.

ამ ბოლოს დროს პოლიციამ დააპატიმრა ოროსზედ მეტი ტიბურცაის მომხრენი. ამათ შორის ერთი მეცხვარეც ურევია. ამ მეცხვარესვალდებულება ის იყო, რომ, სადაც ტიბურცი ლამაზ-კოპწია ქალს შეიგულებდა, მეორე დღესვე მიჰგვრიდა ხოლმე. როდესაც ტიბურცის მოსწყინდებოდა ერთი მშვენიერი, გაათხოვებდა, 10,000 ფრანკს მისცემდა მზითევს და ახლა სხვას მოაყვანინებდა. ამ დაპატიმრებულთა საქმე ამ ცოტა ხანში გაირჩევა ვიტერბის მველს ტაძარში, რომელიც ამ შემთხვევის გამო სასამართლოდ გადაქცეულა.

## დეპეშა

13 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, 20 ივლისდგან შემოღებულ იქმნას ორკეცი საბაჟო ტარიფი. გაზეთები იუწყებიან, რომ უკვე შემუშავებულია პროექტი სასოფლო სკოლებისა; ამ პროექტით სოფელს კორესპონდენცია მიუვა ფოსტის მახლობელ სადგურიდგან.

**ეტერბურგის ბირჟა, 13 ივლისი.**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაურიგდნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,60 | 7,70 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153 1/2 | 154 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — , | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 3/4 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 3/4 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| საჴელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | 101 1/2 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 1/2 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 3/4 |

### „ივერიის“ ფოსტა

**ბ-ნ ა. წ—ძეს.** მანდედამ არა სჩანს-რა მიღებული. თუ მოგვივა, რასაკვირველია, მაშინადვე გამოვაცხადებთ.

**ა—ს. ი. ბ—ეს.** გაზეთის საქმე არ არის განსამართლება ვისიმე. დავა უნდა სასამართლოში გაირჩეს.

### გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკ-შის ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით-ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## განცხადებანი

ქ. ტფილისის მართ-მადიდებელთა კუკიის სასაფლაოს, მოციქულთა სწორ წმ. ნინოს ეკკლესიის აშენებელ სამზრუნველომ, შემოავლო-რა ამ მდგომარე წელს სასაფლაოს ქვით-კირის გალავანი, განიზრახა ააგოს სასაფლაოს ეკკლესიაც, ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამშენებლო-მოძღვრო განყოფილების გეგმის თანხმად. ამ ეკლესიის აშენება კარაულით დაჯდება 14 ათას მანათზედ მეტი.

ვინაიდგან სამზრუნველოს არ მოეპოვება ტაძრის ასაგები ფული, მიჰმართავს ყველას, ვინც-კი თანაუგრძნობს ამ სასაფლაოს განკარგების საქმეს, არ დაიშუროს თავისის წვლილის შეწირვა და მით მისცეს სამზრუნველოს საღსარი ეკკლესის აგებისა.

მზრუნველობა სთხოვს ყველას, შემოწირულება გაუგზავნოს სამზრუნველოს წევრ-საზინადარს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ალექსი ანტონის ძეს სუმბატოვს, ამ ადრესით: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 44, ან იმისავე სახელობაზედ მთავარ-მართებლის კანცელარიის სამხედრო ოლქთა გამგეობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ.

(6—2)

## გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 1/2 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ф. პროტასევიჩი**, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7 1/2—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყოველნაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—25) ალ. თუთაევი

გამოვიდა და აისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**ახალი წიგნი**

## ვლერიან გუნიასი

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**